№ 58
სამშაბათი, 17 მარტი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 58
სამშაბათი, 17 მარტი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—7)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი-სი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასაანცი.** — დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

# ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 15 მარტს, საქართველოს ეგზარხოსად ნამყოფი, მოსკოვისა და კოლომენის მიტროპოლიტი ვლადიმირი გამოეთხოვა სამწყსოს. ამ დღეს მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, ეპისკოპოსების ალექსანდრესა და ბესარიონის, არქიმანდრიტების ტფილისის სემინარიის რექტორის სერაფიმესი, ლეონიდისა და ქუთაისის სემინარიის რექტორისა და სხვათა სამღვდელოების თანამწირველობით, სწირა სიონის საკათედრო ტაძარში. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო ვლადიმერმა წარმოსთქვა გამოსათხოვებელი სიტყვა. შემდეგ ეპისკოპოსებმა ალექსანდრემ და ბესარიონმა პარაკლისი გარდაიხადეს. წირვასა და პარაკლის აუარებელი ხალხი დაესწრო. მრავალი გალავანსა და ქუჩაში იდგა. შემდეგ მიტროპოლიტი ეგზარხოსის სასახლეში დაბრუნდა, სადაც იმის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას დახვდნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი კ. ვ. იაკიმოვი, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. გაკკელი, ეგერმეისტერი თავ. გ. ს. შერვაშიძე, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი ი. ვ. საგინაშვილი, პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი და მრავალი სხვა. გამოეთხოვა რა ყველა ამათ, ყოვლად სამღვდელო ვლადიმირი ნაშუადღევის პირველ საათსა და 15 წუთს დეკანოზ ელიევთან ერთად ეტლით ტფილისიდგან წაბრძანდა რუსეთის სამხედრო საქართველოს გზით. იმ ქუჩებზედ, რომლებზედაც ყოვლად უსამღვდელომ გაიარა, მრავალი ხალხი იდგა. ბევრმა მცხეთამდინაც გააცილა.

*** კვირას, 15 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ამავე ეკკლესიის კრებულმა საღამოს ლოცვის შემდეგ შეასრულა დაუჯდომელი ღვთის მშობლისა. დაუჯდომელისა და ლოცვის დროს ჰგალობდა ქართულად ორი ხორო: სემინარიის მოსწავლეთა და ქვაშვეთის სამრევლო სასწავლებლის მოსწავლეებისა. დაუჯდომელის შემდეგ გამართულ იქმნა საუბარი წმ. მეფე დავით აღმაშენებლის მართლ-მადიდებელ ეკკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობის შესახებ. ამ საგანზედ ხალხს ესაუბრებოდა სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ბ-ნი ი. ფერაძე, რომელმაც დაწვრილებით უამბო ხალხს თუ რანაირად დაეცა ზნეობა-სარწმუნოება საქართველოში მეფე დავით აღმაშენებლის მამის გიორგი II-ის დროს, როდესაც მთელი საქართველო თათრებს ხელთ ეჭირათ და ანადგურებდნენ ეკკლესიებსა და მონასტრებს და როგორ განაახლა და აღაყვავა ესევე საქართველო მეფე დავით აღმაშენებელმა. სხვათა შორის მოიხსენია ისიც, რომ სახელოვანმა და წმიდათა შორის წმიდანად აღრიცხულმა მეფე დავით აღმაშენებელმა თავისს მრავალ-გვარი მოღვაწეობა მართლ მადიდებლობის განმტკიცებისათვის სახსოვარ-ჰყო იმ ღირს-შესანიშნავ რუის-ურბნისის კრებით, რომელზედაც დაწერილ იქმნა ჩვენის ისტორიის საუნჯე „ძეგლისდება"-ო. საუბრის მოსასმენად იმდენს ხალხს მოეყარა თავი, რომ ეკკლესიაში ტევა არ იყო. ბ-ნი ი. ფერაძე ლამაზის ქართულის ენით ესაუბრებოდა ხალხს და სასოებაში მოსული ხალხიც გულ-დასმით უსმენდა მოსაუბრეს. დიახ, სწორედ სასიამოვნოა და საგულისხმიერო! სასიამოვნო და საგულისხმიერო?
აღურჩევია სამისსიონერო სასულიერო განათლების ძმობას ხალხში სარ-

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

ოჰ, რად არ მიეც, გამჩენო,
კაცს გონი სიბრძნის მფლობელი
და გული სხვისა ჭირისა
თავისს ჭირსავით მგრძნობელი,
შევიბრალებდით ერთმანეთს
მაშინ ვით და-ძმა მშობელი,
არ ექნებოდა ალარვის
ვაება მოსათხრობელი.

დ. მაჩხანელი

## „წადი, ერთის შაურის მჭადი იყიდე!"

(პატარა ამბავი)

ორი საათი შესრულდა და ს. ქ—ს სკოლის ზარმაც უკანასკნელად ჩამოიწკრიალა. ცოტა ხნის შემდეგ ჟივილ-ხივილით გამოიშალნენ დაგლეჯილ ჩოხა-ახალუხებში გახვეული მოსწავლენი, რომლებსაც უკან თავიანთი მასწავლებელი გამოჰყვათ. მასწავლებელმა ჯერ მოსწავლეებს გააყოლა თვალი, ხოლო შემდეგ, როდესაც ისინი მიეფარნენ, დაიფანტნენ სოფელში,—დაიწყო წინა და უკან სიარული ეზოში, რომელსაც ბაღს ეძახოდა, რადგანაც ორიოდე ხეხილი ჩაერგა და თან შიგა და შიგ გზებიც გაეკეთებინა ქვიშა-აგურის ნაფხვენით მოკირწყლული. დათიკო (ასე ეძახდნენ მასწავლებელს) ჩქარა გადი-გადმოდიოდა ბაღის მოკლე ბილიკზედ და თან დაჟინებით დაჰყურებდა მიწას, ასე გონია იქიდგან მოელის იმ კითხვების პასუხს, რომელნიც თავში უტრიალებდა.

— არა, არა, მიზეზი მინდა გავიგო, მიზეზი!.. დაიწყო ხმა-მაღლა დათიკომ, თითქოს ვისმეს ელაპარაკებაო,—ადვილია კაცმა სთქვას ღარიბიაო... განა მე-კი ვერ ვხედავ, რომ აქაური, ქართლელი, გლეხი ღარიბია! მაშ რომელი შეძლებული მამა გაჰგზავნის სკოლაში ყმაწვილს ამ ყიამათ ზამთარში უწინდებოდ, ან უახალუხოდ, დაფხრეწილ ჩოხაში გახვეულს, თუ არ ღარიბი?!. არა, მე ის მიღონებს გულს—რად არი აქაური გლეხობა ასე გაბეჩავებული, წყალ-წაღებული, ქონება-გონებით გაღატაკებული, რომ აუარებელი შინაური და გარეშე მტერ-მოყვარე, რომლებიც სისხლსა სწოვენ, ბანურებს თავზედ ანგრევენ, არამც თუ ვერ მოუშორებია, არც-კი ფიქრობს იმათს მოშორებას, რომ თავისს თავს თითონ უპატრონოს?.. ნუ თუ ქართლელი გლეხი იმდენად შეჩვენებულია ბუნებისაგან, რომ წინ-მსვლელობის, წარმატების გზას იგი ვერ დაადგება? ან იქნება გაძლიერებულმა ფეოდალიზმმა აქაური ნაყმევები ჩრდილად შესცვალა?

იქნება დათიკოს ბევრი რამ ამისთანა ეკითხა თავისის თავისათვის, მაგრამ გზირის ხმამ შეაყენა.

—„საღამო მშვიდობისა, უჩიტელო", უთხრა გზირმა და თან გაქონილი კონვერტი მიაწოდა, „პოპოშნიკმა" გამომატანა, ე ქალალი შენზე მოსულა გორიდამ...

მასწავლებელმა ჩამოართვა წერილი და მადლობა გადაუხადა. რა წამს დახედა კონვერტს, დათიკომ მაშინვე იცნო, რომ წერილი სახლიდგან იყო და სახე უცბად დაელმიჭა.

— აქ სასიამოვნო არა იქნება-რაო, სთქვა მასწავლებელმა და კონვერტი უბის ჯიბეში ჩაიდვა, მაგრამ გულმა მაინც ვერ მოუთმინა, ამოიღო ისევ კონვერტი და გახია. შიგ მართლა სახლიდგან გამოგზავნილი წერილი აღმოჩნდა. აი რასა სწერდა შინა კაცი იმისი ძმა.

„ძმაო დათიკო!

პირველად მოგიკითხავ სიყვარულით, ვიცი შენის გულის ამბავი, ჩვენს ამბავს იკითხავ,—ჩვენ მადლობა ღმერს, კარგად ვართ. რატო ერთი წერილი აღარ მოგვწერე? ვინძლო ცოტაოდენი ფული გამოგზავნო, ეხლა ვენახების კეთების დრო მოდის, დაგვიანება არ შეიძლება, მეძროხესაც ყავლი გაუვიდა, ისიც მაწუხებს. აბა შენი ჭირიმე, მალე ფული მომაშველე. ძროხა და ცხვარი კარგად არი. ჩვენთან მეცხვარეთ ნამყოფმა სანაძლეოზედ ერთი ბოთლი არაყი დალია, კუჭის ანთება მოუვიდა და თან გადაჰყვა, საჩქაროდა გწერ.

შენი ძმა ნიკო

გაათავა დათიკომ წერილი და ერთი საშინლად ამოიგმინა.

— სულ ფული და ფული!.. არ ვიცი, ღმერთმანი რად გვინდა ან ძროხა, ან ცხვარი და ან ვენახი, თუ თავიანთს მომვლელებს, მწყემსებსა და მეზვრეს თითონ ვერ გაისტუმრებენ?.. ყველა ყველაა და რა ვუყო ამ თხოვნას? არ გავუგზავნო ფული, ხომ სამუდამოდ უსარგებლო კაცად ჩამთვლეს; თან მუდამ სინიდისი უნდა მაწუხებდეს, რომ გაჭირვების დროს ძმას ვერ მივეშველე. თუ გავუგზავნო და საიდამ რა გავუგზავნო?! წელიწადი მიდის, ჯამაგირი არ ამიღია, მე თვითონ ვალებში ჩავარდი—ლვდელი და მედუქნე დღეში ორმოცჯერ მკითხავენ ხოლმე—„ფული არ მიგიღიაო?"... დაბრანძულის პალტოთი დავდივარ, ხშირად პურსა და ყველზედ გადავდივარ, ხარჯი არ მომივიდეს მეთქი, ვიწვი, ვიდაგები, მაგრამ ხელში არა მრჩება რა!.. ის, რითაც ჩემი ნათესავ-ნაცნობები ჰზომავენ კაცის ღირსებას—ფული სანატრელად გამხდომია!.. იმათ ფეხებზედა ჰკიდიათ გლეხის ბიჭების განვითარება, თვალების ახილება! ოღონდ ფული მიაწოდე და თუნდა ნაქურდალიც, ნაცარცვიცა და ქრთამად აღებულიც იყოს, არა უშავს-რა. მაშ რა ვქნა? ამ გვარი წერილები პირველი ხომ არ არის და არც უკანასკნელია! ამ სამსახურში არამც თუ ბევრს, საკმაო ფულსაც ხომ ვერ ვიშოვნი?.. მაშ ნათესავების გულისათვის ვუღალატო და გავექცე იმ წმინდა საქმეს, რომელსაც აგერ თითქმის ათი წელიწადია ვემსახურები?.. ღმერთო! რატო მარტოკა არ ვარ, რომ სასწავლებელში ამოვირთვა სული, თუნდა სულაც მშიერმა, იმ რწმენით, რომ ჩემი ძვირფასი მოსწავლენი შეიყვარებენ წიგნს, ჩემგან ჩანერგილს აზრებს გაზრდიან თავიანთს ჭკუა-გონებაში და ცოტად მაინც არის წინ წასწევენ გაუფერებულს ცხოვრებას...

ფიქრებში გართული დათო გაცხარებული ბოლთასა სცემდა ბაღში; ამ დროს წინ გადაეღობა მოსამსახურე ბიჭი და მოახსენა.

— მთელს სოფელში პური არავის უძევს, ყველას მჭადი აქვს. მელქო მედუქნეს აქვს პური, მაგრამ არ მომცა.

— რატო არ მოგცა, ბიჭო?

— აგრე მითხრა—შენ „უჩიტელს" გაზეთში ჩაუგდივარო.

— მაშ გაუგია, ამ წინაზედ გაზეთში რომ იყო გამოქვეყნებული მაგისი გაიძვერაობა, მევახშეობა, რასაც ადგილობრივმა პოლიციამ სასტიკი ყურადღება მიაქცია, გაიფიქრა დათიკომ გუნებაში.

თუ მიბრძანებ, ბატონიანთიდგან ჩამოვიტან პურს?

— არა, არ მინდა წარა მარად შევაწუხო ისინი, ან იმათი რა ბრალია, ჩვენ რომ პური არა გვაქვს. წადი ისევ სოფელში და ვისმე ერთის შაურის მჭადი გამოართვი...

მირზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმუნოებისა და ზნეობის განსამტკიცებლად. თუ ასე გულმოდგინედ აწარმოვა თავისი საქმე ამ ძმობამ, მალე დაიმსახურებს ხალხის ყურადღებას და ადრე გამოიღებს შესაფერს ნაყოფს. ამავე ძმობის საბჭოს განკარგულებით მომავალ კვირას, 22 მარტსაც, იქმნება გამართული საუბარი ქვაშვეთისავე ეკკლესიაში, იქადაგებს იღუმენი მამა კირიონი.

⁂ სამშაბათს, 17 მარტს, დანიშნულია კრება საბჭოს საგანგებო კომისიისა, რომელსაც წარედგინება გამგეობის მოხსენება შესახებ ტფილისის ცხენის რკინის გზის შესყიდვისა.

⁂ გუშინ-წინ, 15 მარტს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა საზოგადო კრება ტფილისის საკრედიტო საზოგადოების წარმომადგენელთა. კრებამ, დაამტკიცა რა 1897 წლის ანგარიში, განიხილა ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა განზრახულის პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ ფულის გადადების შესახებ. კრებამ დაადგინა გადასდოს ამ საქმისათვის საზოგადოების ფულიდგან 50,000 მანეთი. შემდეგ კრებამ გადასდო 500 მანეთი მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენის სასარგებლოდ. დასასრულს არჩევანები მოხდა. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. ს. ყორღანოვი, ზედამხედველ კომიტეტის წევრად—ა. ი. ტერ-გრიგორიანცი, ხაზინადრად—დ. მ. ფულინოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად: ი. ა. ტერ-აკოფოვი, ს. ნ. ენიკოლოფოვი და ა. ს. ბაღდასაროვი. ლ. თ. ტიგრანოვი არ იქმნა ამორჩეული ხაზინადრის თანამდებო- [illegible] ათამდე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წარმომადგენლობას თავს ვანებებთო.

⁂ გუშინ, 16 მარტს, აკურთხეს ავლაბარში აგებული შენობა გადამდებ სენით შეპყრობილ ავადმყოფთათვის დაარსებულ სამკურნალოსი. კურთხევას დაესწრნენ: ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, გუბერნატორის თანაშემწე ბ-ნი სტეფანოვიჩი, ქალაქის მოურავი გ. ევანგულოვი, გამგეობის წევრი თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ხ. ვერმიშევი, ა. ივანენკო, მკურნალები და ორი ხმოსანი ს. ანანოვი და პ. ალიბეგოვი. კურთხევის შემდეგ ბ-მა გუბერნატორმა დაათვალიერა შენობა და შემდეგ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვა წარმოსთქვა აგრედვე ქალაქის მოურავმა ბ-მა გ. ევანგულოვმაც.

⁂ მომავალ კვირას მოხდება კრება ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა. კრება სხვათა შორის განიხილავს ტფილისის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობას მომავალის პოლიტეხნიკუმის დახმარების შესახებ. ამავე კრებაზედ არჩეულ იქმნებიან საზოგადოების საბჭოს ორი წევრი, ევანგულოვისა და ტერ-აკოფოვის ნაცვლად.

⁂ დეპეშით გვატყობინებენ სუხუმიდგან, რომ სამხედრო სასამართლომ ავაზაკს მამსირ გამისონიას ჩამოხრჩობა მიუსაჯაო.

⁂ ამ დღეებში დაისტამბება ქართულს ენაზედ ხელ-მეორედ პატარა წიგნაკი: „დარიგებანი ქუთაისის გუბერნიაში ამერიკულ ვაზის მყნობა-მოშენებისა“, აგრონომ სტაროსელსკის მიერ შედგენილი. ეს წიგნაკი მუქთად დაურიგდებათ ქუთაისის მცხოვრებელთ.

⁂ ქუთაისის ოლქის სასამართლომ ამ დღეებში განიხილა საქმე იმ დასისა, რომლის წევრთაც ჰბრალდებოდათ ყალბის ფულის მოჭრა და გასაღება. სასამართლომ მიუსაჯა ქ. ქუთაისისა და გორის მცხოვრებლებს: პავლე ოჰანეზოვს ყოველგვარ უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და 7 წლით კატორგაში გაგზავნა, ივ. ხოჯაშვილს, გ. ხოჯაშვილს, ი. ზუბიევს, ამ. და დავ. გურჩიანებს და ზურ. ონიანს—ყოველგვარ უფლების ჩამორთმევა და ციმბირში გადასახლება. დანარჩენი ბრალდებულნი სასამართლომ გაამართლა.

⁂ ძმ. მირზოევებისა და ამხ. ნავთის მწარმოებელ სამმართველომ დაადგინა წინადადება წარუდგინოს ამხანაგობის წევრთა 29 მარტის საერთო კრებას იმის შესახებ, რომ ამხანაგობამ წარსულის წლის მოგებიდგან 25 ათასი მანეთით დახმარება აღმოუჩინოს მომავალ ტფილისის პოლიტეხნიკუმს, 6,500 მან. ქ. ბაქოს საქველ-მოქმედო დაწესებულებათ და 500 მანათით ტფილისის ღამის თავშესაფარს.

⁂ 15 მარტს, მეოთხე ნაწილის ბოქაულის თანაშემწემ ბ-ნმა ივანე ბაბალოვმა შეიპყრო ქურდები, რომელთაც მე-9 ნაწილში, მარქარ კირა- [illegible] ქურდვა უნდოდათ. პოლიცმეისტერის განკარგულებით ბ ნი ბაბალოვი წინათვე დაიმალა ხსენებულ სარდაფში. ღამის 2 საათზედ, როდესაც ქურდებმა დაუწყეს კარებს ტეხა, ბაბალოვი თავისის კაცებით დაეცა თავს და შეიპყრო ქურდები. აღმოჩნდნენ ქურდობისათვის უკვე რამდენჯერმე დაპატიმრებული და განთავისუფლებული გრიგოლ ჩიქოვანი ც ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებელი ტიმოთე გოგაძე. ამ ორთან მესამეც ყოფილიყო, რომელიც ხელიდგან დაუსხლტა პოლიციას, მაგრამ მისი ვინაობა შეტყობილია.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ საფრანგეთის ამხანაგობათა წარმომადგენლებს განზრახვა აქვთ იშუამდგომლონ ქალაქის თვით-მმართველობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მოგვეცით ელექტრონის რკინის გზა გავიყვანოთ გოლოვინის პროსპექტიდგან მამა-დავითის მთის მწვერვალამდის, სადაც ამხანაგობას განზრახვა აქვს საგარაკო ადგილები და სასეირნო ბაღები გააკეთოს. ამ აზრით ამხანაგობამ უკვე მოლაპარაკება დაიწყო მემამულე პოლტარაცკისთან მისის მამულის იჯარით აღების შესახებ. იმავე ამხანაგობას აზრადა აქვს ეს გზა კოჯორამდის გაიყვანოს.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ იმ 55 ოჯახობამ ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებისამ, რომლებიც ამ ორის წლის წინად გადმოსახლდნენ კავკასიაში და ახალქალაქის მაზრისა და ყარსის ოლქში დასახლდნენ, კავკასიის უმაღლესს მთავრობას არზა მიართვეს, რომ ნება მოგვეცით რუსეთის ქვეშევრდომობა მივიღოთ და ყარსის ოლქის ტრამალს „მრე“-ში დავსახლდეთო.

⁂ გაზეთ „კავკასს“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: „გამოქვეყნებულ იქმნა, რომ დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ რუსეთის მებაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილება თავისის მფარველობის ქვეშ მიიღო“.

⁂ ბაქო. 22 მარტს აქ გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება „კინტო“, ქართულ თეატრის მსახიობთა ბ-ნ ს. სვიმონიძისა და ივ. მჭედლიშვილის მონაწილეობით და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით.

⁂ ქ. ბათუმი. 7 მარტს ახალ ამაღლების ქუჩაზედ ღამით ვიღაც ბოროტ-მოქმედთ მოჰკლეს ახალგაზდა სომხის ქალი, რომელიც ოსმალეთიდგან იყო აქ გადმოხვეწილი და მანთაშოვის ნავთის ქარხანაში ჰმუშაობდა დღიურად. ამ ქალს კაცური ტანთსაცმელი ეცვა და თითო-ოროლას გარდა სხვამ არავინ იცოდა თუ ის ქალი იყო. მკვლელობის ჩადენას დროებით ბათუმის მცხოვრებელს ხასან-პერეზ-ოღლის აბრალებენ, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა 8 მარტს.

4 მარტსაც მოხდა აქ მკვლელობა. საღამოს 8 საათზედ პოლიციელმა მიხეილის ქუჩის მოსახვევში ჰნახა ვიღაც დაჭრილი ლევან კოჩიანი, რომელიც მაშინვე საავადმყოში იქმნა გაგზავნილი და საავადმყო- [illegible] პოლიცია დამნაშავეს დაეძებს და იმედია, მალე მიაგნებს.

⁂ მტკვარი თან და თან ჰმატულობს. წყალმა უკვე ერთს ფუტზედ აიწია. როგორც ახალციხისა და გორიდგან მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, თოვლი დნება, ზოგან წვიმა მოდის და თითქმის ყველა პატარა მდინარეები ადიდებულია.

⁂ საფრანგეთის ელჩად ტფილისში დანიშნულ იქმნა ბ-ნი ბესსერონ დ' ანგლადა.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ სიტყვით, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციამ დავითიანცის ფქვილის საწყობის გასინჯვის დროს ავჭალის ქუჩაზედ, აღმოაჩინა, რომ ამ საწყობში დავითიანცს აშმორებული, სრულიად გამოუსადეგარი ფქვილი ჰქონია შენახული. სავაჭრო პოლიციამ შესაფერი ოქმი შეადგინა და დავითიანცი სამართალში მისცა. დავითიანცმა განაცხადა, რომ ამ ფქვილს კრახმლის გასაკეთებლად ვინახავდითო.

⁂ 15 მარტს, საღამოს 9 საათზედ, პოლიციის მოხელემ 4—5 დღის მიგდებული ბავშვი იპოვა ბაღის ქუჩაზედ და მაშინვე საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნა აღსაზრდელად.

---

## წერილი რიონ-ბაღმის მხრიდგან

ჩვენსკენ წელს მეტად სასტიკი ზამთარი იყო: სექტემბრიდგან დაწყებული სულ ცუდი ამინდები იდგა; ასეთი ცივი ზამთარი და მოულოდნელი ბევრს დიდიხანია არ ახსოვს და მეტად შეაწუხა ხალხი. რადგანაც ზამთარი ადრიანად ეწვია ჩვენს მთა-გორიან კუთხეს, ხალხი მოუმზადებელი დაუხვდა; ბევრი ოჯახი უშეშოდ იყო გაჭირვებული, რადგანაც ვერ მოასწრეს ჩამოტანა შეშისა, ზოგნი უფქვილობამ შეაწუხა, წისქვილები აღარ ჰმუშაობდა, ბევრს საქონლის საკვები ჩალა შემოაკლდა და პირუტყვები სიმშილით ეხოცებოდა, სხვა გვარ გაჭირვებაში ჩავარდნილს ბევრს შეხვდებოდა კაცი ჩვენს კუთხეში. ამას დაუმატოთ უგზოობა, წყალდიდობა, უფულობა და ყველა ადვილად წარმოიდგენს, როგორ იქნებოდნენ შევიწროებულნი ჩვენნი მკვიდრნი. ვისაც დაურჩა ბლომად ჩალა თავისთვის და გასაყიდიც, დაინახეს თუ არა ერთის ადლის სიმაღლეთ თოვლი, მაშინვე ასი კონა ჩალა სამ და ოთხ მანეთად გაჰხადეს, თუმცა ერთის კვირის წინად ასი იყიდებოდა შვიდ აბაზად. შეუბრალებელია, გაუმაძღარია გული ადამიანისა და რას იზამთ!..

მაგრამ ღმერთმა საწყალ კაცს არ გაუჭირა ისე საქმე, როგორც ჩვენ ერთმანეთს: პირველ თებერვლიდგან მშვენიერი გაზაფხულის დღეები დაგვიდგა, გზებიც გაგვიშრა, ეტლებმაც მიმოსვლა დაიწყო სამტრედიიდგან ს. ვანამდე. მდინარეებმაც დაიკლო, ბორანზედ გასვლა-გამოსვლა ორის აბაზის მაგიერ ორი შაური გახდა, ხალხმა მოძრაობა შეჰქმნა, ხორაგეულობა გასასყიდად გაიტანეს ზოგმა დ. სამტრედიის იარმუკაში და ზოგმა „საბეკას“ იარმუკაში და ცოტაოდნად მოიბრუნეს ისევ სული, თავისუფლად ამოისუნთქეს და მიჰყვეს ცოტ-ცოტა ვენახის მუშაობასაც ხელი, მაგრამ ვენახში ჩასვლა ბევრს სასიამოვნოდ აღარ ეჩვენა; დეკემბრის ძლიერ ყინვებს უფილოქსეროდაც გაეხმო ბევრი ვაზი, საბრალო გულ დაკოდილმა მუშამ თითქმის მთლად დაჰკარგა იმედი ოდიინის დალევისა. ჩვენი კუთხე ყოველის ხორაგეულობით მდიდარია, ტყეებიც ბლომად არის, შეშა არა თუ ჩვენთვის სამყოფი, გასასყიდიც ბევრია, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც ჩვენს დიდს ნაკლს გზების უვარგისობა შეადგენს; გზები რომ იყოს ხეირიანი, მაშინ არაფერი არ გაგვიჭირდება, ექიმსაც მალე მოვიყვანთ საჭიროების დროს. არა მგონია, რომ სადმე ასე უყურადღებოდ იყოს გზები და ბოგირები მიტოვებული, როგორც აქეთ არის. ჩვენის გზა-ბოგირების ბედ-იღბალი ორის ბოქაულის ხელშია: ბაღდადისა და სამტრედიის; იმათ აქეთ ძვირად ჰნახავს კაცი; უფრო ხშირად ჰნახავთ იმ სოფლებში, რომელსაც რკინის გზა ანუ ეტლები უდგება; თუ მოხდა სასწაული და ოდესმე მაზრის უფროსი გამობრძანდა, იქნებ მაშინ გამოუძღვნენ წინ, მაგრამ ისიც ივლისსა ან აგვისტოში, როდესაც გზები გამშრალია ძალაუნებურად და ბოგირებიც არ არის საჭირო; ან შეიძლება მოხელეების არჩევასნაც დაესწრნენ, მაგრამ ესეც ხომ სამ წელიწადში ერთხელ არის; ისევ ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენის კუთხის ყმაწვილები და „მაღლარის“ ღვინო; ზოგიერთი მათგანი, როდესაც გადაჰკრავს ამ „მაღლარს“, ხანჯალზედ წაისვამს ხელს, თუ ვინმე დასჭრა, იქნება მაშინ მოჰყვეს ბოქაული მაზრის ექიმს ოქმის შესადგენად. საუბედუროდ მაშინაც ხშირად მამასახლისს სწერენ ოქმის შედგენას.

ეს მეორე თვეა მაზრის უფროსიც ახალი გვყავს და მისი თანაშემწეც. მოუთმენლად მოველით, რომ ისინი შემოივლიან თავიანთ მაზრას, დაათვალიერებენ ჩვენ მივიწყებულს კუთხესაც და მიაქცევენ ყურადღებას ყოველგვარ ნაკლულევანებას. ჩვენი კუთხე მოკლებულია გზებს, არა გვაქვს საკმაო სკოლები, არა გვაქვს სამკითხველო, არავინ ეტანება ჟურნალ-გაზეთებს, არავინ ჰფიქრობს დეპო-ბანკების დაარსებას, ბევრს სახელიც არ გაუგონია. თუმცა ნასწავლი მღვდლები ბლომად ჰყავს ჩვენ კუთხეს, მაგრამ ისინი სხვისთვის არასა ჰზრუნავენ.

მეორე წელიწადია, რაც „საბეკას“ დაარსდა პარასკეობით იარმუკობა; ადგილი დაუთმეს უსასყიდლოდ თავ. მიქელაძემ და ლორთქიფანიძემ. მართლაც, ეს ადგილი მეტად საკმაო და მოხდენილია ბაზრისათვის: ვაკე ადგილი, შემკობილი საჩრდილობელ თუთის ხეებით, ერთის მხრივ უვლის ანკარა მდინარე სუდორი და მეორეს მხრით ბაღდადორპირის გზა-ტკეცილი, ნახევარის ვერსის სიშორეზედ მდებარეობას სოფელი „ურიები“, სადაც 40-ზედ მეტი სხვა-და-სხვა სავაჭრო დუქანია, მაგრამ იქიდგან პარასკეობით არ ჩამოდიან ბაზარში; იმათ უნდოდათ იარმუკა იმათ პატარა ბაზარში დაარსებულიყო, ამისათვის ერთ ხმად გამდგარნი არიან; იქ ბაზარის დაარსება სრულიად უვარგისი იქნებოდა, რადგანაც შესაფერი იდგილი არ ეშოვებოდათ.

პირველ სექტემბრიდგან აქეთ დაარსდა მეორე კლასიანი სამრევლო სასწავლებელი; ამისათვის გამოგზავნილი იყო კომისია, რომელსაც უნდა ამოერჩია შუა ადგილი სასწავლებლისათვის. გაჩნდა დას-დასობა და ყოველ კაცს უნდოდა სასწავლებელი იმის ეზოში ყოფილიყო. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყდა და დაარსდა ს. აძაღლებაში. ეს სოფელი თუმცა შუა ადგილად იქმნა ჩათვლილი, მაგრამ ზოგიერთის მხრივ უვარგისია: მივარდნილი ალაგია, მოკლებულია გზასა და მოძრაობას, აგრეთვე მეტად ძვირი საშოვარია ხორაგეულობა, რის გამოც მასწავლებლებს ძლიერ უჭირთ ცხოვრება. ამ სასწავლებელს ეწოდება სახელად „საეკკლესიო სამასწავლებელო სკოლა“ და უნდა მოამზადოს წერა-კითხვის სკოლებისათვის მასწავლებლები, ხოლო როგორს მასწავლებლებს მოამზადებს, ეს ჯერ არ ვიცით.

ჩვენსკენ ხშირად შეხვდებით სოფლებში ხუთ-ათიოდე დუქანს, მაგრამ ეს დუქნები ხალხის საძარცვავად არის გაღებული, ყოველისფერში ერთი-ორად იღებენ ფასს, ნიხრი იმათთვის არ არსებობს, თუ გაუჭირდა ბევრი, უმოწმობოდაც ჰვაჭრობს. გარდასახადთა ინსპექტორს იშვიათად ჰნახავთ აქეთ ჩამოვლილს. აქეთ ყოველ დუქანში თითქმის ხარაზსაც აქვს არაყი გასასყიდად; მოიყრიან თავს უსაქმო ყმაწვილები, დაგიძღებიან არაყით და შემდეგ ჩხუბი და ყოველივე უწესოება ხდება. საჭიროა, რომ მოხელემ მოხერხებით და გაუგებლად დასჩხრიკოს ამ გვარი დუქნები. ამას წინად ერთს აქაურ სოფელში გარდასახადთა ინსპექტორმა უნახა მედუქნეს რამდენიმე ბოთლი არაყი, რომელსაც უმოწმობოდ ჰყიდდა შაურად ერთს პაწაწა ჭიქას, თითონ-კი ბოთლს ხუთ შაურად ჰყიდულობს სოფლებში; აგრეთვე უნახა, რომ ძველის წლის სავაჭრო მოწმობა გადაესწორებინა და ისე ვაჭრობდა. ინსპექტორმა ოქმი

შეუდგინა, მაგრამ იგი მაინც ისევე განაგრძობს ვაჭრობას. საჭიროა მედუქნეს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და მედუქნეებისათვის ნიხრი იქმნას დაარსებული. აგრეთვე კარგი იქნება, რომ ვინც სასმელების დუქანს გაჰმართავს, საზოგადოების სასარგებლოდ რამდენიმე მანეთი გარდახდეს.

ქურდობა და ცუდ-კაცობა აქეთ თანდათან იკიდებს ძირს; იპარავენ, რასაც-კი შეხვდებიან; თითქმის ბოსტნეულიც მიაქვთ ბოსტნებიდგან. ს. ბზვანში ამას წინად მ. და ვ. ჩხეიძეებმა დასჭრეს მძიმედ გლეხი ამავე სოფლისა ლ. ფოფხაძე; ლ. ფოფხაძე იმათ სალალო ადგილში ესახლა; როგორც ამბობენ, მიუცვივდნენ თურმე და უთხრეს, ან გადაესახლე ეხლავე ამ ადგილიდგან, ან ამდენი ღალა მოგვეციო. მოსვლოდათ ჩხუბი და ფოფხაძე დაეჭრათ. ამაზედ მაზრის ექიმი და ბოქაული მოვიდნენ და შეადგინეს ოქმი. სადაც არის ქუთაისის მაზრაში უნდა დაარსდეს უსასყიდლო საავადმყოფო; ეს საავადმყოფო უნდა გაიმართოს ან დ. სამტრედიაში, ან დ. ბაღდადში, ან ჩვენსკენ; უფრო საჭირო არის, რომ რიონ-გაღმა მხარეში დაარსდეს, ან ვანში და ან იქვე „საბეკას“. ამისათვის საჭიროა აქაურნი გულ-მოდგინედ შევუდგეთ საქმეს, გამოვილოთ შეწირულება, დავუთმოთ საავადმყოფო ადგილი, თორემ უამისოდ არა გარიგდება-რა.

ვლადო ბზვანელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რუსულ ჟურნალის „სევერნი ვესტნიკის“ მარტის ნომერში დაბეჭდილია კარპენტერის წერილი სათაურით „თანამედროვე მეცნიერება“ წერილი გადათარგმნილია რუსეთის დიადის მწერალის გრაფის ლ. ნ. ტოლსტოის რედაქციით. იქვე დაბეჭდილია სახელოვანის გრ. ლ. ნ. ტოლსტოის წინასიტყვაობა, რომლითაც იგი აუწყებს მკითხველებს, რად უცვნია საჭიროდ კარპენტერის წერილის გადათარგმნა.

მე ვფიქრობ,—სწერს გრ. ლ. ტოლსტოი,—რომ ეს წერილი კარპენტერისა თანამედროვე მეცნიერების შესახებ მეტად სასარგებლო უნდა იყოს რუსეთის საზოგადოებისათვის, რომელიც ევროპის სხვა საზოგადოებათა შორის, უფრო მეტად არის გამსჭვალული ცრუ-მორწმუნეობით, ვითომ კაცობრიობის სიკეთისათვის საჭირო არ არის გავრცელება სარწმუნეობასა და ზნეობის განვითარება, არამედ საჭიროა მხოლოდ მეცადინეობა რომელიც დააკმაყოფილებს მთელის კაცობრიობის მოთხოვნილებას.

აშკარაა, რა ცუდი შედეგი (სწორედ ისეთი, როგორც სარწმუნოებრივს ცრუ-მორწმუნოებასა აქვს) უნდა ჰქონდეს ხალხისთვის ასეთს ცრუ-მორწმუნეობას. ამიტომ დიდად სასურველია ხალხში გავრცელება იმ მწერალთა აზრებისა, რომელნიც კრიტიკის თვალით შესცქერიან მეცნიერებას.

კარპენტერი ამტკიცებს, რომ არც ასტრონომია (ვარსკლავთ-მრიცხველობა), არც ფიზიკა, არც ქიმია, არც ბიოლოგია და არც სოციოლოგია არ გვაძლევენ უტყუარს ცოდნას შესახებ იმისა, რა ხდება ქვეყანაზედ, მეცნიერების მიერ აღიარებული კანონები მხოლოდ საზოგადო აზრს წარმოადგენს ამა თუ იმ ბუნების მოვლენისას და მხოლოდ იმიტომა აქვს მნიშვნელობა კანონისა, რომ ან არ ვიცით სხვა პირობა და გარემოება, ან ყოველსავე ამას ყურადღებას არ ვაქცევთ. ამ კანონებს მეცნიერება ეძებს ხოლმე ჩვენგან ძლიერ დაშორებულ დროსა და ადგილას და ამიტომ არის, რომ სრულებით არ შეესაბამება სინამდვილეს.

შემდეგ გრ. ტოლსტოი უსაყვედურებს მეცნიერებას, რომ იგი უსამართლოდ ეპყრობა კაცობრიობის კანონიერს მოთხოვნილებას.

უბრალო, გონიერი მუშა კაცი ფიქრობს, რომ თუ არიან ქვეყანაზე ისეთი კაცები, რომლებიც თავისს სიცოცხლეს სწავლას ანდომებენ და რომელთაც ჰკვებავს ეს მუშა კაცი, მაშასადამე ისინიც იმასა სწავლობენ და იკვლევენ, რაც საჭიროა ხალხისთვის და ამიტომ ელოდება, რომ მეცნიერება გამოიკვლევს ყველაფერს, რაზედაც არის დამყარებული კაცობრიობის სიკეთე. მუშა კაცს იმედი აქვს, რომ მეცნიერება მასწავლის, როგორ უნდა ვიცხოვრო, როგორ მოვექცე შინაურს, მოყვასს, უცხოელს, როგორ ვებრძოლო ჩემს ვნებას, რა უნდა მრწამდეს, რა არა მრწამდეს და სხვ. მერე რას ეუბნება ამაზედ მუშა ხალხს მეცნიერება.

მეცნიერება თავ-მომწონეთ უპასუხებს და ეუბნება, ამდენი მილიონი მოძრაობაა საჭირო ეფირისათვის, რომ სინათლე გაჩნდეს და ამდენი მილიონი—ხმაურობისათვის; მეცნიერება გვიამბობს ყველაფერს, რაც-კი იცის, ელექტრონისა, მიკროორგანიზმებისა, რენტგენის სხივებისა და სხვათა გამოკვლევათა შესახებ.

კარგი, მაგრამ მე ეგ ყოველივე არ მინდა,—უპასუხებს უბრალო გონიერი კაცი —მე მსურს ვიცოდე, როგორ უნდა ვიცხოვრო.

— რა ვუყოთ, რომ გსურს,—უპასუხებს მეცნიერება. რასაც შენა კითხულობ, ეგ სოციოლოგიას ეკუთვნის და იმან უნდა მოგცეს მაგაზედ პასუხი. ვიდრე სოციოლოგია მაგის პასუხს გეტყვის, ჯერ უნდა საკმაოდ განვითარდეს ზოოლოგია, ბატანიკა, ფიზიოლოგია. ხოლო ამისათვის საჭიროა გამოიკვლეს ჯერ ატომებისა და ეფირის მოძრაობის კანონები.

რაღა თქმა უნდა, რომ ამის ლოდინი შეუძლიანთ იმათ, ვინც სხვას აწევს კისერზე, სხედან და ელოდებიან არხეინად, მაგრამ უბრალო და გონიერი კაცი, რომელსაც კისერზე აწევს მეცნიერი და მთელი კაცობრიობაც, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილდება ასეთის პასუხით და იკითხავს: მერე როდის იქმნება ეგა? ჩვენ არ შეგვიძლიან მაგდენი ლოდინი? დრო არა გვაქ. თქვენ თითონ ამბობთ, რომ ვიდრე მეცნიერება ყოველსავე მაგას გამოიკვლევს, ბევრი წყალი ჩაივლისო. ჩვენ-კი ეხლა ვსცხოვრობთ; დღეს ცოცხალნი ვართ და ხვალ დავიხოცებით. ამიტომ გვინდა ვიცოდეთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ. გვასწავლეთ რამე, ჩაგვაგონეთ.

— სულელო და უსწავლელო კაცო,—უპასუხებს მეცნიერება,—შენ ისიც-კი არ იცი, რომ მეცნიერება სარგებლობასკი არ ემსახურება, არამედ მეცნიერება ემსახურება მხოლოდ მეცნიერებასა. მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს ყოველივე, რაც-კი ღირსია შესწავლისა. მეცნიერების უმთავრესი თვისება ის არის, რომ ყველაფრის შესწავლა სწადიან.

შემდეგ გრ. ლ. ნ. ტოლსტოი განაგრძობს:

მეცნიერება იმას კი არ გვეუბნება, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა. მეცნიერი მხოლოდ ერთის ჭურჭლიდგან მეორეში ასხავს სითხეს, ამრავლებენ ბაქტერიებს, სჭრის ბაყაყებსა და ძაღლებს, იკვლევენ რენტგენის სხივებს და სხვ.

დასასრულ გრ. ლ. ნ. ტოლსტოი ამბობს, რომ, თუ მეცნიერებას უნდა მართლა ემსახუროს კაცობრიობას, მაშინ ის უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს, როგორ უნდა მოეწყოს კაცობრიობის ცხოვრება, რომ უფრო ბედნიერი იყოს,—ვიდრე ეხლა არისო.

## რუსეთი

ამ ჟამად უმაღლესს სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყოველ მონასტერთან დაარსებულ იქმნას სასწავლებლები გლეხთა შვილების უფასოდ აღსაზრდელად. ამასთანავე აზრადა აქვთ ზოგიერთ მონასტერთან სამასწავლებლო სემინარიები დააარსონ, რომელთათვისაც განსაკუთრებული პროგრამმა იქმნება შემუშავებული.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა გუბერნატორებს, რომ, მხოლოდ მაშინ დაამტკიცეთ ხოლმე ქალაქის საბჭოების დადგენილებანი ამა თუ იმ საქველმოქმედო საზოგადოების დაარსების შესახებ, თუ ამ აზრის განსახორციელებლად სათანადო წყაროა ნაჩვენებიო.

— ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ღარიბ თავადაზნაურობას მიეცეთ ხოლმე სესხი საჭირო თესლეულობის სასყიდლადაო.

— უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს აჰკრძალოს დედათა სასწავლებლებში კორსეტების ხმარება, რადგან კორსეტის მავნებლობა ყველასაგან ცნობილია.

— ჩაით მოვაჭრეებისა და მრეწველთა კრება, რომელსაც სხვათა შორის ჩინეთისა და იაპონიის წარმომადგენლები დაესწრებიან, გამართულ იქმნება ამ გაზაფხულს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი და ჩინეთი.** როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა რუსეთმა, გერმანიამ, ინგლისმა და იაპონიამ მიჰმართეს ჩინეთს და მოსთხოვეს, ზოგმა ნავთსადგურის დათმობა, ზოგმა მთელის პროვინციისა, ზოგმა კიდევ გაჭრობის ნება-რთვა ჩინეთის სხვა და სხვა ადგილებში და სხვა. ერთიღა საფრანგეთი დარჩა, რომელიც თუმცა თვალ-ყურს ადევნებდა საქმის მსვლელობას, მაგრამ მოთხოვნით ჩინეთისათვის დღემდის არაფერი მოუთხოვნია; დღეს-კი, როგორც რეიტერისა და ჰავასის სააგენტოები იუწყებიან, საფრანგეთის დიპლომატიამაც მიჰმართა ევროპის დიდთა სახელმწიფოთა მაგალითს. რეიტერის სააგენტოს სიტყვით, საფრანგეთმა მოსთხოვა ჩინეთს: 1, არ დაუთმოს ჩინეთმა სხვა სახელმწიფოს შემდეგი პროვინციების არც ერთი ნაწილი: კუანგ-ტუნგისა, კუანგსისა, იუნანისა და კუეი-ჩეუსა, 2, ნება მისცეს საფრანგეთს გაიყვანოს რკინის გზა ლონგ-ჩეუდგან იუნანამდე და 3, დააარსოს ქვა-ნახშირის საწყობი ლეუ-ჩეუში. ჰავასის სააგენტო იუწყება, საფრანგეთმა ამის გარდა მოსთხოვა ჩინეთს, რომ ჩინეთის ფოსტების დირექტორებად ფრანგები იქმნენ დანიშნულიო.

—

**იაპონია.** იაპონიიდგან დეპეშით სწერენ გაზ. „Standard“-ს: „ძლიან გავრცელებული და გავლენიანი გაზეთი „იჯი-შიმპო“ ამბობს, რომ ჩვენ დიდად კმაყოფილნი ვართ მთავრობის მიერ შემუშავებულის ახალის სამხედრო პროექტით, რომლის ძალით იაპონიის სამუდამო ჯარის რიცხვი 500,000 კაცამდე უნდა აიყვანონ, ხოლო სათადარიგო ჯარისა—300,000 კაცამდე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გინდაც ორი სახელმწიფო ერთსა და იმავე დროს დაეცეს იაპონიას, ჩვენი ჯარი მამაცად დახვდება მათ და მტერს ნაპირზედ გადმოსვლის ნებას არ მისცემს. სუეცის არხის აღმოსავლეთით არც ერთი სახელმწიფო არ არის ისე კარგად მოწყობილი, როგორც იაპონიაა მოწყობილი“.

—

**ამერიკის შეერთებული შტატები.** ვაშინგტონიდგან იუწყებიან, რომ მთავრობამ გადასწყვიტა გაამრავლოს ჯარი 100 ათას კაცამდეო. მთავრობამ 12 სავაჭრო გემი კიდევ იყიდა, ხოლო წარმომადგენელთა პალატის საზღვაო კომისიამ ერთხმად შეიწყნარა ახალი კანონ-პროექტი, რომლის ძალით მთავრობას ნება ეძლევა ააგოს 12 ახალი სამხედრო ხომალდიო.

—

**ავსტრია.** როგორც უკვე მოსულის ამბებიდგანა სჩანს, ახალი სამინისტროც ვერასფერს გააწყობს პარლამენტის ოპოზიციასთან და შინაურ საქმეებს ვერ მოარიგებს. აი, მაგალითად, როგორ ჩაუვლია პარლამენტის სხდომას 9 მარტს: „დარბაზი ხალხით იყო სავსე. ქანდარაში უმეტესობას ქალები შეადგენდნენ. ცურკანმა სთხოვა დეპუტატებს, რომ პატივი ეცათ იმპერატორის იუბილეის და ვეცადნეთ ამ სესსიის სხდომები წყნარად და მშვიდობიანად ჩავატაროთო. ამ დროს დეპუტატი კოლფი წამოდგა და დაუყვირა ცურკანს: „რაღას უყურებთ, პოლიციას დაუძახეთო“! როდესაც პარლამენტის პრეზიდენტად ფუქსი აირჩიეს შენერერმა დაიყვირა: „ყოფილის საპრეზიდენტოს წევრმა, პრეზიდენტმა ფუქსმა კონსტიტუცია დაარღვია, ამიტომ იგი კატორღაში უნდა გაიგზავნოსო“. კოლფმა დაუმატა: „იმ ღარიბებსა და საწყლებს, რომელნიც შიმშილის მოსაკლავად პურს იპარავენ, საპატიმროში ამწყვდევენ, ხოლო კონსტიტუციის დამრღვევებს პატივით და ქებით ეგებებიანო“. შემდეგ შენერერმა დაიყვირა: „შორს ჩვენგან კატორღის ღირსი პრეზიდენტიო“!

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

2 მარტი.

წერილი ოდესმე საშინელ ოსმალეთის შესახებ ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს, რადგან მისი ხსოვნა ქართველის გულში ადვილად არ აღმოიხოცება. მაშ გადავავლოთ სისტემატიურად ამ ძლიერების ნაშთს თვალი და გავიგოთ, რას წარმოადგენს დღეს იგი მსოფლიო ისტორიაში: ცალმხრივად, როგორც სამეფოს, ისე რომ შევხედოთ დღეს ოსმალეთს, იგი სრულიად ყურადღების ღირსიც აღარ არის. იმდენად დაპატარავდა, იმდენად გაღარიბდა და ზნეობრივად ეს ნახევარ მთვარეს მოთაყვანე საშინელი სახელმწიფო ისე დაეცა, რომ პაწაწინა კრიტის სამასს ათას,ნახევრად გაღატაკებულს მცხოვრებლებსაც ვერ გაჰკლავებია. მაკედონიის წვრილ-წვრილი ამბოხებისაც-კი საშინლად ეფიქრება და ყოველ ღონის-ძიებასა ჰხმარობს ბოლგარიის მთავრობასთან საქმე მორიგებით გაათავოს. თვით თავისსავე ოდესმე ყურ-მოჭრილს ყმებს სომხებსა და ნეო-თურქებს თავს უხრის და ათასნაირს, მისდა უნებურად და მისის აზრის წინააღმდეგად მოხდენილს, დანაშაულს ყურს აღარ ათხოვებს. წინად რასაც თვით დღევანდელ დიდ სახელმწიფოთა დესპანებსაც ვერ აპატიებდა, ეხლა იმაზედ მეტად დიდ დანაშაულს სულ უბრალო თავისს ქვეშევრდომს ქრისტიანსა თუ მუსულმანს შეაწევს ხოლმე.

ოსმალეთის ხალიფს დღე'ა ერთი ისეთი სანდო და გულშემატკივარი კაციც ვერ უპოვნია, რომ რომელიმე საჭირო საქმე მიანდოს და რაც არის დღეს ოსმალეთი, ეს მარტო მისი შრომითა და პოლიტიკური მოსაზრებითაა. საიდ-ფაშები და ქემილ-ფაშები ისე უყურებენ ოსმალეთს, როგორც პარტახ ოჯახის ნანგრევებს, რომლის მიწა-წყალს ვინც როგორ მოასწრებს, ისე დაეპატრონება. მოხელეები თუ ჯარისკაცები დაყიალობენ სტამბოლის მუნიან ძაღლებით სავსე ბინძურ ქუჩებში და დღე-და ღამე იმის დარდში არიან, როგორმე ჯამაგირი აიღონ და მოისვენონ მეორედ ჯამაგირის დარიგებამდის. ვაჭრობა აღებ-მიცემობა, რკინის გზები, ნავთსადგურები და სხვა მრავალი შემოსავლიანი ადგილები სრულიად ევროპიელთა ხელშია. ხაზინის შემოსავალიც ხომ ნახევარზედ მეტი მოვალეებს მიაქვს, სამარი გემები არ უვარგათ და სხვა...

დიახ, ერთის მხრით სწორედ ამ ყოფაშია ოსმალეთი. აღარა აქვს ის ძალა, რაცა ჰქონდა, და მგონი ვეღარც მოიკრიბოს უწინდელი ძალა. ვნახოთ ახლა მეორე მხარე ოსმალეთისა. მხოლოდ სანამ პირდაპირ საგანს გამოვიკვლევდეთ, მკითხველის საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას მივაქცევთ, თუ ევროპას რა სწადიან საზოგადოდ აღმოსავლეთისათვის და კერძოდ ოსმალეთისათვის. ჩვენ, ჩვენს აზრს ვამყარებთ მთლად ოსმალეთის წარსულ და მიმდინარე ცხოვრებიდგან ამოღებულ საბუთებს. თითქმის მთელი საუკუნე ოსმალეთი ინგლისის გავლენას ემორჩილებოდა და ვინ არ იცის, რას მოასწავებდა ინგლისის პოლიტიკა. ინგლისს ყველგან, სადაც-კი ფეხს შესდგამს,საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და სცდილობს სულითა და ხორცით ის მხარე თავისს ბატონობას დაუმორჩილოს. ინგლისმა თუ არ აზარალა ოსმალეთი, არაფერი სარგებლობა არ მოუტანია. ჯერ ეგვიპტე გამოაცალა ხელიდგან და შემდეგ შეიძლებოდა მთლად ოსმალეთს დაჰპატრონებოდა, რუსეთი რომ არ გადაჰღობებოდა წინ. იმ დღიდგან, როცა უკანასკნელ 1877 წლის ომის რუსეთის გამარჯვებით ინგლისმაც ისარგებლა და მშვენიერი კიპროსის კუნძული დასცინცლა, ყოველივე პატივის ცემა დაეკარგა ინგლისს ოსმალეთში.

ეხლა მისი ადგილი ავსტრიამ დაიჭირა, რომელმაც ერთს დროს სრულიად თავის სასარგებლოდ გადიბირა ბალკანეთის პოლიტიკა. ყოველივე ვაჭრობა და აღებ-მიცემა ავსტრიას ჩაუვარდა ხელში. თუმცა ავსტრია თავისს თავისათვის ფიქრობდა და ოსმალეთი ბოსნია—ჰერცოგოვინის დათმობის შემდეგ კარგის თვალით ვერ შეჰხედავდა, მაგრამ რაკი უნდოდა რუსეთის პოლიტიკა ბალკანეთში წაეფორხილებინა, მეტის-მეტს შურისძიებას აღარ გამოუდგა. ამასთანავე კარგად იცოდა, რომ ავსტრიას არავინ დაანებებდა ოსმალეთს. სიმართლე რო სთქვას კაცმა, ავსტრიამ, ასე თუ ისე, ცოტა რამ სარგებლობაც მოუტანა ოსმალეთს. დაეხმარა ოსმალეთს რკინის გზების გაყვანის საქმეში,სულთან-ჰამიდიეს

მიერ შემოღებულ ცვლილებაში, სახელდობრ უმაღლესს სასწავლებლის დაარსებასა და ევროპიულ ენების სწავლების შემოღების საქმეში. ავსტრიასაც ოსმალეთსავით რუსეთის შემაგრება ჰქონდა აზრად. ოსმალეთს აქაც უმტყუნა ბედმა, მოკვდა სტამბულოვი და ყოველივე დაწყობილება ჩაეშალა. ეს ამბავი არ ესიამოვნა აგრეთვე ინგლისს. ცხადი იყო, რომ რუსეთი გაიმარჯვებდა, მაგრამ ინგლისმა სხვა ხრიკს მიჰმართა, არია ოსმალეთის შინაური საქმეები, გაუყენა სულთანს თავისივე გამოზრდილი ქვეშევრდომი ნეო-თურქები და წაუჩხიკინა სომხებსაც და ამ ხრიკებს იმიტომ მიჰმართა, რომ რუსეთი შეეფიქრიანებინა. ინგლისმა კარგად იცოდა, რომ რუსეთი ნებას არ მისცემს აზიაში ახალი სახელმწიფო დააარსოს, რადგან აზია დღეს თუ ხვალ ჩემი იქმნებაო. რაკი ამითიც ვერას გახდა, კრიტის საქმე წამოაყენა და ოსმალეთს განაწილებას უქადდა. საბერძნეთთან ომსაც ეს აზრი ჰქონდა. ევროპის სახელმწიფოთ იცოდნენ, რომ საბერძნეთი დამარცხდებოდა, მაინც ხელი არ შეუშალეს, რადგან ამითი უნდოდათ ბალკანეთის პატარ-პატარა სახელმწიფოთ გული აეცრუებინათ რუსეთზედ, მაგრამ ამითაც ვერას გახდნენ და ახლა შორეულ აღმოსავლეთის საქმის აღძვრით ისე მოაწყეს საქმე, რომ ლამის ოსმალეთი და რუსეთი ერთმანეთს წაჰკიდონ. ამას გარდა, რუსეთი შავის ზღვის გემების გაყვანას თხოულობს ხმელთა შუა ზღვაში და აქაც ოსმალეთს აგულიანებენ ევროპის სახელმწიფონი, რომ მაგის ნებას ნუ მისცემო. ამ გვარად, ოსმალეთი დღესაც საშიშროებას წარმოადგენს. თუ წინათ თავისის ძლიერის ხმით აშინებდა ქვეყანას, ეხლა თავისის ნაშთით ლამის ერთი ერთმანეთს შეახალოს მთელი ევროპა. ჯერ კიდევ ოსმალეთი თვით-განვითარებისა და პროგრესის გზას რომ დაადგეს, დიდხანს დარჩება ევროპის თვალში დამაჩრდილებელ დვირედ.

მაინცა და მაინც დღევანდელ დღეს ოსმალეთი გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული რუსეთის მოთხოვნილებით, რომ შავის ზღვის გემები ხმელთა შუა ზღვაში უნდა გავიყვანოო. რუსეთის დესპანი ბ-ნი ზინოვიევიც მაგრად ეკიდება ამ საქმეს და თუ ოსმალეთი არ დასთანხმდა, რუსეთისა და ოსმალეთის დამოკიდებულება მეტად გამწვავდება. ასე რომ სულ უბრალო შემთხვევას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს. ბოლგარია და მაკედონია დიდ მზადებაში არიან და ოსმალეთიც რამდენათაც შეუძლიან, ყველაფერს იმზადებს. უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანია, ავსტრია და თვით ინგლისიც, თუ ომი მოუხდათ ოსმალეთსა და რუსეთს, ოსმალეთს გაუწვდიან საშველად ხელს. ასე ჰფიქრობს აქ ყველა და ვნახოთ, რა იქნება. ესეც კი უნდა ვთქვა, რომ ეხლა ევროპას ჩინეთისკენ უფრო უჭირავს თვალი. აქ ყველა დიპლომატი იმას გაიძახის, რომ ევროპა შეაფიქრიანა იაპონიის წინ წაწევამ და ჩქარობს, რაც შეიძლება მალე ის დღე დააყენოს ჩინეთს, რა დღეშიაც ოსმალეთი ჩააყენაო.

იასე რაჭველი

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(შემდეგი*)

ამ წიგნში შეტანილ გალობების შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, ვინაიდგან ამ საგნის შესწავლას შესდგომია ქართულის გალობის მთვისობი (სპეციალისტი) კასიან კარბელაშვილი; კარგი იქნება, რომ ამ საქმეში კასიანს შეეწიონ მისგვარნივე მთვისობნი პოლიევქტო კარბელაშვილი, ალექსანდრე მოლოდინაშვილი, ფ. ქორიძე, ა. ბენაშვილი და სხ. და ერთგულის შრომით აღადგინონ საზოგადო ქართული გალობა, რომელსაც, ვინ იცის რა მიზეზით, დღეს ჰყოფენ გალობად იმერულად (!) და ქართლურად (!) და ივიწყებენ, რომ ყოველი კრიპი და ბანი, ყოველი ღიღინი და გალობა ქართლოსისძისა არის ქართული გალობა, საქართველოს მუსიკა და არა გალობა იმერთა და ამერთა, გინა დუმბაძეთა და კარბელაშვილთა. დიდება და პატივი ეკუთვნის ყოველს გვარსა და კერას, რომელსაც წმიდად დაუცავს ანუ ქართული გალობა, და ანუ რომელიმე მისი კილო, რომელიმე ღიღინი და დადისი, და სცდილობს ქართულ გალობასთან ერთად უკვდავ ჰყოს თვისი სახელიცა..

დანაშთენი წერილები კრებულისა, რომელიც იპყრობს მკითხველის ყურადღებას, არის: გამოძიება ქართულის კვინკლოსისა, ქმნილი წმ. იოანე შავთელის მიერ 1233 წელს, სინანულის გალობანი წმ. დავით მეფის აღმაშენებლისა; აბუსერისძის ტბელის ისტორიული მოთხრობა და სხ. ამ წერილების სულმცირედ განხილვით დავასრულებთ დღევანდელს ჩვენს მეგლისწერას.

წმ. იოანე შავთელის (შავთელი კრებულშივე მოხსენებულია წმიდანად) შრომა დიდი განძია ქართულის წელთა აღრიცხვისა ანუ კვინკლოსის შესწავლისათვის. იგი მთლათ გადმოვწერეთ და შევიტანეთ ქართულს მველს კალენდარში, რომელშიაც, მასთან ერთად, დაიბეჭდება აგრეთვე: ა) უოკელ დღიური მაჩვენებელი მსოფლიო ეკლესიის წმიდანთა (ეს გადმოვწერეთ გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ და ტყავზედ ნაწერ დიდ სვინაქსარიდგან № 222), ბ) წელთა და ჟამთა გამოძიება, გადმოწერილი ჩვენ მიერ 1006 წელს დაწერილ წიგნიდამ (№ 38) და გ) მთვარის მოქცევა და მზის სრბა ეტლებსა ზედა, გადმოღებული ჩვენ მიერვე 1210 წელს შედგენილ „წინამძღვარიდამ“ (№ 65) და 4) სხვა-და-სხვა კნინავი საკალენდარო ცნობები, ამოკრებილი ძველის წიგნებიდამ.

წმ. იოანე შავთელის შრომის შესახებ ბროსსე ამბობს: „საოცრად უნდა მიგვაჩნდეს, რომ ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1583 წელს აიძულა პაპი გრიგოლ მე-XIII გაესწორებინა რომაული კალენდარი“.

ეს ცთომილება ის იყო, რომ წინად წელიწადს აღრიცხავდნენ მხოლოდ 365 დღედ, სწორედ ისე, როგორც აღრიცხულია ზემოხსენებულს ჩვენს 1006 წლის მეგლში. ხოლო ეს ნაკლი წმ. იოანე შავთელმა შენიშნა და წელიწადი იანგარიშა 365 დღედ და 3 ჟამად, და ოთხს წელიწადში ერთს (ნაკიანს) მიათვალა სრული ერთი დღე და ეს დღე თებერვალს მიუმატა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს წმ. იოანე შავთელი, რომელმაც თვისი წვლილი შეიტანა მსოფლიო ისტორიის სალაროში, არის ის შავთელი, რომელსაც ერისკაცობაში ერქვა აბდულმესია და ბერობაში იოანე და, რომლის შესახებ ქართლის ცხოვრება ამბობს: „კაცი ყოვლად განთქმული და საკვირველი მოლექსე, ლექსთა გამომთქმელი, ენალოგი და ქრისტესთვის სულელი, რომელსაც მიეღო მადლი წინასწარმეტყველობისა“. ეს შავთელი იყო თამარ ბრწყინვალის და თამარ ნეტარის მდივანი და დასწერა პოემა „თამარ მეფისა და მისის მეუღლის დავით მეფის შესხმა“, და იგივე თვით რუსთაველის „აბდულმესია შავთელი, რომელსაც უქმს ლექსი“, და ანტონ კათალიკოზის „იოანე, შავთელ ზედ წოდებული, კაცი ნეტარი, პიიტიკოსი, მაღალ გამომთქმელ, მომღერებით ბრწყინვალე, სიბრძნის მოყვარე, ღვთის მეტყველი, შაირთ-გამომთქმელი, სარკე უბიწოების და წმიდანად მიჩნეული“.

ვიდრე მოვიყვანდეთ ცნობებს აბუსერისძის ტბელის წერილის შესახებ, უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე არსენი კათალიკოზის ბულმაისიმისძისა კარის ებისკოპოსი საბა სუჯგელოზი ამ ტბელის ძმას ვარდანს ჰხადის თავის ძმად. და ამას გარდა ვარდან აბუსერს, თუ წერით არა, დახმარებით მაინც მონაწილეობა მიუღია კრებულის შევსების საქმეში.

კრებულის 302 ფურც. ვკითხულობთ: „ამას ზემოჲთნი... გალობანი ვარდანისაგან შეხუტწითა თქმულნი, ამით მერისა გალობითა განამშვენნა... ამისთვის ძმამა ჩუენმან აბუსერი: არსენის მიმართ გალობათა თქუმისა იძულებაჲ მოიგონა სხუადაჲსა პირისათჳს“.

ფურც. 304: „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი. თქმულნი ნეტარისა მამისა საბა სუჯგელოზისა კარისა ებისკოპოსისანი. შეხუტწითა ძმისა ჩემისა ვარდანისითა. რომლისა თავნი წითელთა ასომთავრთანი მსიტყუელობენ“. აქვე ჩართულია საბას მიერ ნათხზი იამბიკო; მოგვყავს ამ იამბიკოს დასაწყისი სიტყვები, რომელთა მეთაური ასოებით გამოითქმის: „ქრისტე ღმრთის ხატო, მეოხ ექმენ ვარდანს“.

ქადაგებულსა.. რომლისაგან.. იხილვნეს... სახე იყო... ტომისაგან.. ესრეთ... ღმერთო... მაუწყენ... რაჟამს... თანაალვავლენთ... ისმინეთ... სიტყვათა... ხატსა... ამიერ... ტაძარ... ოდეს... მეგობარ... ესე პირ-მშოჲ... ორი ბუნებითა... ხატი... ერნო... ქრისტე... მრავლით.., ეტყოდა... ნეფსით... ვითარცა... ანუ არა... რომელნი... დასჯისა... აქუნდა... ნეტარებისა... სამართლად...

აბუსერის ძენი აქა-იქ იხსენიებიან ქართლის ცხოვრებაშიაც, როგორც ერისთავნი არტანუჯისა. მაგ., ბაგრატ მე-IV-ის ჟამს არტანუჯს ერისთავობდა იოანე აბუსერის ძე (ქართ. ცხ. 220), რომელიც იყო ამასთანავე „პატრონი ხიხათა ციხის ჯვარისა და აწყურის ციხისა“ (225) გრიგოლ აბუსერის ძე შეპყრობილ იქმნა ლიპარიტის მიერ (იქვე 226).

ტბელი აბუსერიძე ჯერ ასწერს ხიხათა ეკლესიის (ოპიზის მახლობად) აშენებას ბასილის მიერ, რომელსაც ბოლოკ-ბასილად და ბაჩალოდ უწოდებდენ, და მერე მოგვითხრობს მის განახლებასა და განდიდებას თვის მიერ. ეს ფრიად საყურადღებო წერილი სრულად დაუბეჭდია თ. ჟორდანიას (ქრ. II. გვ. 111—122).

ამავე ქრონიკებში შეტანილია აგრეთვე დავით აღმაშენებლის-მიერ ნათქვამი „სინანულის გალობანი“, რომელნიც საკმაოდ განსხვავდებიან საბინინის მიერ დაბეჭდილისაგან (იხ. „სამოთხე“).

კრებულიდამ გადმოვიღეთ აგრეთვე წერილი „დაყენებულთა და უჯეროთა და განგდებულთა ქორწინებაჲ მზახობაჲთათვის“ (მზახლობათათვის). ამ წერილში განმარტებულია ნათესაობათა ხარისხნი, ვითარცა:

ა) აღმართნი:

მამა—დედა  
პაპი—ჰანი  
წინაპაპი—წინა ჰანი  
პაპის პაპი—ჰანის-ჰანი  
მრჩობლ პაპი—მრჩობლ ჰანი  
მესამე პაპი—მესამე ჰანი

ბ) შთაღმართნი:

მამა—დედა  
ძე—ასული  
ძის წული—ასულის წული  
ძის წულის შვილი—ასულის წულის შვილი  
ძის წულის შვილის შვილი—ასულის წულის შვილის შვილი  
ძის წულის შვილის შვილის შვილი—ასულის წულის შვილის შვილის შვილი  
ძის წულის შვილის შვილის შვილის შვილი—ასულის წულის შვილის შვილის შვილის შვილი

გ) მგურდალნი (მგუერდალნი?):

ა) ა)  
ძმა—დაჲ  
ძმის ძე და ასული—დის ძე და ასული  
ძმის ძის წული—დის ძის წული  
„ ასულის წული—„ ასულის წული  
ძმის ძის წულის შვილი—დის ძის წულის შვილი  
„ დის ასული „—„ ასულის „ „  
ძმის ძის წულის შვილის შვილი—დის ძის წულის შვილის შვილი  
„ ასულის „ „ „—„ ასულის „ „

ბ) ბ)  
ბიძა მამისა და დედისა მიერი—მამა-დედისა მიერი ჰანის დაჲ  
ბიძის ძე და ასული—ჰანის დის ძე და ასული  
ბიძის ძე და ასული—ჰანის დის ძის წული  
„ ასულის „—„ „ ასულის „  
ბიძის ძის წულის შვილი—ჰანის დის ძის წულის შვილი  
„ ასულის „ „—„ ასულის „ „

გ) გ)  
ბიძა დიდი მამისა მიერი—ჰანის დაჲ დიდი დედისა მიერი  
დიდის ბიძისა ძე და ასული—ჰანის დისა დიდისა ძე და ასული  
დიდის ბიძისა ძის წული—ჰანის დიდისა ძის წული  
„ „ ასულის წული—„ „ „ ასულის „

დ) დ)  
უდიდესი ბიძა—დედისა ჰანის დაჲ  
უდიდედესი ბიძისა ძე—დიდისა ჰანის დისა ძე  
„ „ ასული—„ „ „ ასული.

„ეს არის „დასასრული შჳდთა ხარისხთაჲ“, რომელთა გარეითად ქორწინება და მზახობა (მზახლობა) არა არს უჯერო და არცა დაყენებულ. მთელი განმარტება და სწავლა ამ ნათესაურ კავშირის შესახებ შეტანილი იქნება აგრეთვე იმავე ძველს კალენდარში.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 57.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 მარტი

**კალკუტა.** ამბავი ავღანის ჯარის მთავარ-სარდალის გოლამ ჰაიდერ ხანის სიკვდილის შესახებ მართლდება.

**ვენა.** გრაფმა გოლუხოვსკიმ დაავალა ავსტრიუნგრეთის წარმომადგენლებს, შეატყობინეთ დიდ სახელმწიფოთა კაბინეტებს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს 5 აპრილამდე წაიყვანოს კრიტის კუნძულზედ მყოფი თავისი ჯარი და აგრედვე გემებიც. გაზეთი „ფრემდენბლატი“ სწერს, რომ ეს ამბავი ჯერ იმას არ ნიშნავს, რომ ვითომ ავსტრი-უნგრეთი კრიტის საქმის გამო თავს ანებებს ევროპის კონცერტს.

**პარიჟი.** 12 მარტს საფრანგეთის აკადემიაში მიღებულ იქმნა ჰანოტო.

**რომი.** კრისპიმ პალატას სთხოვა დეპუტატის თანამდებობიდგან განმათავისუფლეთო. პალატამ ეს თხოვნა შეიწყნარა.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეის უთქვამს პალატის ზოგიერთ წევრებისთვის, ვეცდები, რომ ომი ავცდეს და იმედიცა მაქვს, რომ მოვახერხებ ამასაო. სენატორმა ტერსტინმა სენატში სიტყვა წარმოსთქვა და ურჩევდა ყუბას კუნძულზედ თოფები და სანოვაგე გავგზავნოთო.

14 მარტი.

**პარიჟი.** ჰანოტომ განაცხადა, რომ საფრანგეთს ყველა სახელმწიფოსთან კარგი განწყობილება აქვს, ინგლისთანაც-კი, მხოლოდ მოულოდნელი რამ შემთხვევა თუ გამოიწვევს შიშსა. ჰანოტო ამბობს, რომ ჩინეთის საქმე დიდხანს გასტანსო. მინისტრმა დასძინა: შორეულ აღმოსავლეთი'აკენ საჭირო არ არის ადგილები შევიძინოთ. ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ თავი დავიცვათ მოულოდნელ შემთხვევისაგან და ხელი შევუშალოთ ჩინეთის დანაწილებას, რადგანაც ამას შეიძლება ძლიერ საშიში შედეგი მოჰყვეს.

15 მარტი

**ვაშინგტონი.** კომისიამ, რომელმაც გამოიძია საქმე გემის „მენის“ დაღუპვისა, წარმოსთქვა, რომ გემი გარედგან არის აფეთქებულიო, ხოლო გუმანი არავისზე მიუტანია. მოწმების ჩვენებით, მაინც დამტკიცდა, რომ გემი წყალის ქვეშ გაკეთებულ ნაღმით ყოფილა აფეთქებული.

**კონსტანტინეპოლი.** სააპელაციო სამსჯავრომ ისკიუბში კიაზმაში მომხდარ მკვლელობათა შესახებ ერთ ბოლგარიელს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა, 11 ბოლგარელს 15 წლის დაპატიმრება სატუსაღოში და დანარჩენ ბრალდებულთ ქონების ჩამორთმევა. იარაღის ფარული საწყობის შესახებ გამოძიება სწარმოებს და პასუხის გებაშია მიცემული ჯერ მხოლოდ 131 პირი.

**რეტიმნო.** ქრისტიანთა და მოსლამინთა შორის სისხლის ღვრა მოხდა.

**ნიუ-იორკი.** მთავრობა შეატყობინებს თუ აქამდე უკვე არ შეუტყობინნებია, ისპანიას, რომ კუბაზედ საქმის გარემოებათა მდგომარეობა აუტანელი გახდა, რის გამოც უნდა მოისპოს ბრძოლა.

**ლონდონი.** ადმირალმა სიკარმა განაცხადა, კომისიას რომ პასუხის მეებელიც აღმოეჩინა გემის „მენის“ აფეთქების დამნაშავე მაშინ, აასრულებდა თავისს მოვალეობას. რაც შეეხება ესპანიის, რომელიც ამტკიცებს, რომ ჰავანნის ნავთ-სადგურში ნაღმები არ არისო, სიკარმა სთქვა: „ეს ნავთ-სადგური რომ მე მეკუთვნოდეს, ნაღმებს ჩავაწყობდი, რადგანაც ეს ნავთ-სადგური ძლიერ მოხერხებულია ამ გვარ მოგერებისათვის. ისპანიის უარის ყოფას არავითარი საბუთი არა აქვს“! მედიატორეთა სამართლის შესახებ სიკარმა სთქვა: „ალბანის საქმე უფრო ძნელად მოსარიგებელი იყო, მაგრამ მაიაც მორიგდა მედიატორეთა სამართლით“.

**ვაშინგტონი.** ესპანიის ოფიციალური დეპეშა ამბობს: „ესპანიის მთავრობა აცხადებს, რომ „მენი“ შიგნიდგან უნდა იყოს აფეთქებულიო.

Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Марта 1898 г. სტამბა შ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.